

2017 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობაზე“. წარმოდგენილი 22 პროექტიდან, საკონკურსო კომისიამ რეკომენდაციები გაუწია იმ ხელოვანთა შემოქმედების ამსახველი წიგნი-ალბომების გამოცემას, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ ქართული სახვითი და სასცენო ხელოვნების განვითარებაში და ამავედროულად ძალზე მწირია, ან არ არსებობს მათზე გამოცემული ლიტერატურა.

- **„გიორგი (გიგო) გაბაშვილის საიუბილეო ალბომი“** (განმახორციელებელი- ააიპ კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია)
პროექტის მიზანია ქართული დაზგური მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუძემდებლის გიგო გაბაშვილის საიუბილეო (დაბადებიდან 155 წელი) თარიღთან დაკავშირებით ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წიგნი-ალბომის გამოცემა, რომელშიც თავმოყრილი და წარმოჩენილი იქნება მხატვრის ნაწარმოებების სრულყოფილი ანალიზი თანადროული ევროპული მხატვრობის კონტექსტში. წიგნი-ალბომის პრეზენტაცია დაგეგმილია დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში პირველად მოწყობილი ვრცელი პერსონალური გამოფენის ფარგლებში, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს მუზეუმების ფონდებსა და კერძო კოლექციებში დაცული მხატვრის ნამუშევრები (ფერწერა, გრაფიკა, მხატვრული ფოტო).
- **„ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვი“** - ალბომი-მონოგრაფია (განმახორციელებელი - სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმი)
პროექტი „ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვი“ მიზნად ისახავს თბილისელი სომეხი მხატვრის, ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვის (1891-1966) ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ალბომი-მონოგრაფიის გამოცემას. ბოლო წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, კერძო კოლექციებში დაცული მხატვრის ნამუშევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. ამიტომაც კლასიკოსი ფერმწერის საქართველოში არსებული ნამუშევრების ფიქსირება და ალბომ-მონოგრაფიის სახით გამოცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის და ე.წ. თბილისური ფერწერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.
- **„შალვა ძნელაძე -125“** საიუბილეო ალბომი (განმახორციელებელი - ააიპ ‘დრო და მემკვიდრეობა’)
შალვა ძნელაძე მე-XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომლის შემოქმედება დღესაც აქტუალურია. 2017 წელს, ამ დაუმსახურებლად მივიწყებული მხატვრის დაბადებიდან 125 წელი სრულდება. პროექტი მიზნად ისახავს ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ალბომის გამოცემას, რომელშიც თავმოყრილი იქნება შალვა ძნელაძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, როგორც სახელმწიფო ისე კერძო საცავებიდან, რარიტეტული ფოტო და საარქივო დოკუმენტები, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა. ალბომის პრეზენტაცია იგეგმება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მხატვრის პირველად გამართული მასშტაბური რეტროსპექტული გამოფენის ფარგლებში.

- **„ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედება“** საიუბილეო ალბომი (განმახორციელებელი - სსიპ გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი)

პროექტი გულისხმობს მე-XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების 50-იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის შემოქმედების ამსახველი სრულყოფილი, საიუბილეო (დაბადებიდან 90 წლისთავი) წიგნი-ალბომის გამოცემას. მისი შემოქმედება გამორჩეულად მრავალფეროვანია და ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი. ალექსანდრე ბანძელაძე ერთ-ერთი პირველია, ვინც დავით კაკაბაძის შემდგომ, საბჭოთა რეალობაში, აბსტრაქტული ნამუშევრების შექმნაზე იწყებს მუშაობას. ორენოვან საიუბილეო გამოცემაში სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ალექსანდრე ბანძელაძის მემკვიდრეობა (ფერწერა, კედლის მხატვრობა, ხატწერა, წიგნის ილუსტრაცია) კვლევითი ხასიათის ტექსტის თანხლებით.
- **„მირიან (მირიან) შველიძე - 70“** - საიუბილეო ალბომი (განმახორციელებელი - სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი)

მირიან შველიძე რუსთაველის თეატრში 1975 წლიდან მოღვაწეობს. წელს მას 70 წელი შეუსრულდა. მხატვარს დიდი წვლილი მიუძღვის ზოგადად ქართული თეატრის განვითარებაში, თუმცა მის შესახებ არანაირი ლიტერატურა არ გამოცემულა. პროექტის მიზანია ცნობილი ქართველი სცენიგრაფის, მირიან შველიძის ნამუშევრების თავმოყრა და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მისი შემოქმედების ამსახველი ალბომის შექმნა, რომლის პრეზენტაციაც, მხატვრის პერსონალური გამოფენის ფარგლებში, რუსთაველის თეატრში გაიმართება.
- **„თეიმურაზ ნინუა“ ალბომი** (განმახორციელებელი - ააიპ ხელოვან ქალთა საერთაშორისო ასოციაცია)

წიგნი ეძღვნება ქართველ მხატვარსა და სცენოგრაფ თეიმურაზ ნინუას და მის შემოქმედებას, რომელიც მოიცავს მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედს. თეიმურაზ ნინუა წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა თეატრებთან და რეჟისორებთან, ის იყო მოზარდ-მაცურებელთა თეატრის მთავარი მხატვარი, ხოლო 1983 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში იწყებს მუშაობას. ორიგინალური ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წიგნი თეიმურაზ ნინუას შესახებ, მხატვრის შემოქმედებიდან გამომდინარე, გადწყვეტილი იქნება ინოვაციური მხატვრული ხერხით.